

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, აკადემიურ საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მოიცავს, როგორც უნივერსიტეტთან აფილირებულ ისე არააფილირებულ პირებს.

3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები:

- 3.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/20;
- 3.2. იმ მოწვეული პერსონალის, რომელიც ახორციელებს პროგრამის სავალდებულო სასწავლო/კვლევით კომპონენტს, თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/1;
- 3.3. აფილირებული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს არსებული აკადემიური პერსონალის 80%-ზე ნაკლები.

4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა:

- 4.1. აფილირებული აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა შედგება - სასწავლო დატვირთვისგან, სამეცნიერო/კვლევითი დატვირთვისგან, საკონსულტაციო დატვირთვისგან (იგ. სტუდენტთა კონსულტაციისთვის განკუთვნილი დრო), უნივერსიტეტის მართვაში/გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უნივერსიტეტის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობისგან;
- 4.2. არააფილირებული აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა შედგება - სასწავლო დატვირთვისგან, საკონსულტაციო დატვირთვისგან (იგ. სტუდენტთა კონსულტაციისთვის განკუთვნილი დრო), უნივერსიტეტის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობისგან. არააფილირებული აკადემიური პერსონალი საკუთარი სურვილით შეიძლება ჩაერთოს უნივერსიტეტის მართვის/გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- 4.3. მოწვეული პერსონალის დატვირთვა შედგება - სასწავლო დატვირთვისგან, საკონსულტაციო დატვირთვისგან (იგ. სტუდენტთა კონსულტაციისთვის განკუთვნილი დრო);

5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სამიზნე ნიშნულები:

5.1. აფილირებული აკადემიური პერსონალი:

5.1.1. აფილირებული აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო/სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება ყოველი სემესტრის დასაწყისში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დეკანთან შეთანხმებით;

5.1.2. აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 6-9 საათით (იმის გათვალისწინებით აქვს თუ არა ადმინისტრაციული ფუნქცია);

5.1.3. აფილირებული აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 3-12 საათით (იმის გათვალისწინებით, რამდენ საგანს უძღვება, აგრეთვე რამდენი სტუდენტის, და რომელ საფეხურზე, ხელმძღვანელობას ახორციელებს პროფესორი);

5.1.4. აფილირებული აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის მართვაში/გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის დრო განისაზღვრება - კვირაში 3 საათით;

5.1.5. აფილირებული აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობის დრო განისაზღვრება - კვირაში 3 საათით;

5.2. არააფილირებული აკადემიური პერსონალი:

5.2.1. არააფილირებული აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო/სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება ყოველი სემესტრის დასაწყისში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დეკანთან შეთანხმებით;

5.2.2. არააფილირებული აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 3-12 საათით (იმის გათვალისწინებით, რამდენ საგანს უძღვება, აგრეთვე რამდენი სტუდენტის, და რომელ საფეხურზე, ხელმძღვანელობას ახორციელებს პროფესორი);

5.2.3. არააფილირებული აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის განვითარებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობის დრო განისაზღვრება - კვირაში 3 საათით;

5.2.4. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის არააფილირებული პერსონალი საკუთარი სურვილით ჩართულია უნივერსიტეტის მართვის/გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მისი დატვირთვა ამ აქტივობაში განისაზღვრება - კვირაში 3 საათით;

5.3. მოწვეული პერსონალი:

5.3.1. მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო/სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება ყოველი სემესტრის დასაწყისში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დეკანთან შეთანხმებით;

5.3.2. მოწვეული პერსონალის საკონსულტაციო დატვირთვა განისაზღვრება - კვირაში 3-12 საათით (იმის გათვალისწინებით, რამდენ საგანს უძღვება, აგრეთვე რამდენი სტუდენტის, და რომელ საფეხურზე, ხელმძღვანელობას ახორციელებს პროფესორი);